საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5917/01
26/06/2020

5917-01-2-202006261725

შპს „ინტერაგროს“
მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, კორპუსი 38ბ, ბინა N9

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 18 ივნისის №9052 წერილი, რომელიც ეხება სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნოქალაქევის მიმდებარე ტერიტორიაზე სარწყავის სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ წყლის ამოღება იგეგმება მდ. ტარაჩალიდან, რომელიც მდებარეობს ნაკვეთის მიმდებარედ, ხოლო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ნაკვეთის მიმდებარედ მიედინება მდ. ტარჩენი, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწორებას;
- ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემულია წყალაღების 2 კოორდინატი 1)X 273242.86; Y 4693467.15 რომელიც მოსარწყავი ნაკვეთიდან დაშორებულია 200 მეტრით, და 2) X 42.360793; Y 42.2462514 რომელიც მოსარწყავი ნაკვეთიდან დაშორებულია 150 მეტრით, ხოლო წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ დაშორება არის 200 მეტრი. აღნიშნული საჭიროებს შესწორებას;
- სიტუაციურ რუკაზე დატანილი წყალაღების კოორდინატის წერტილი საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციით იგეგმება მიწისზედა წყლის მილის გაყვანა უკვე არსებული გრუნტის ბილიკის გასწვრივ, თუმცა სქემატურ რუკაზე ბილიკი არ არის აღნიშნული, რის გამოც ვერ ხერხდება წყლის მილის ზუსტი დერეფნისა და სიგრძის იდენტიფიცირება;
- მანძილი უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე სკრინინგის განცხადების მიხედვით შეადგენს 2 000 მეტრს, ხოლო ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უახლოეს მოსახლესთან მანძილი შეადგენს 185 მეტრს. აღნიშნული საჭიროებს შესწორებას;

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპანიას აქვს საკუთარი ჭაბურღილი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია იმის შესახებ ფლობს თუ არა კომპანია ლიცენზიას აღნიშნულ ჭაბურღილზე.

ამასთან გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის კრიტერიუმების შესაბამისად. კერძოდ,

- განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ;
- ასევე საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი გარემოს დაბინძურების და ხმაურის შესახებ;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ადგილის თავსებადობის შესახებ დაცულ ტერიტორიებთან და ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე